



საქართველოს საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსის კანონპროექტი

საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსის შესახებ. მისი მიზანია სივრცითი მოწყობის, ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვისა და სამშენებლო საქმიანობის სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობის უნიფიკაცია და ჰარმონიზაცია. ასევე ცალკეული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების გამარტივება და ამასთან, ძირითადი სამართლებრივი ინსტიტუტების კანონის ფორმაში მოქცევა.

აღნიშნული კანონპროექტი განაპირობებს ცვლილებების შეტანის საჭიროებას საქართველოში მოქმედ რამდენიმე კანონში, მათ შორის:

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი

ნოემბერი 2016

[საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსის კანონპროექტი](#)

[პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებების გამოქვეყნების წესი](#)

[საერთაშორისო ხელშეკრულება ორმაგი](#)

[დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმების](#)

[თაობაზე](#)

- „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებების გამოქვეყნების წესი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა 2016 წლის 16 ნოემბერს გამოსცა ბრძანება N6 მისი გადაწყვეტილებების გამოქვეყნებისა და საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, იქმნება გადაწყვეტილებების რეესტრი, რომლის მიზანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ერთიანი სტანდარტის დამკვიდრება, კანონის არაჯეროვანი ინტერპრეტაციისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების პრევენცია.

რეესტრში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებები განთავსდება ელექტრონული სახით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

საერთაშორისო ხელშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმების თაობაზე

2016 წლის 17 ნოემბერს ამოქმედდა საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის „შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ შეთანხმება.

ამ საერთაშორისო ხელშეკრულების მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და ინვესტიციების მოზიდვას, ასევე, გადასახადების გადაუხდელობისაგან თავის არიდებას, რაც საგადასახადო მიზნებისათვის ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით მიიღწევა.

შეთანხმება ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მოდელს და განსაზღვრავს ქვეყნებს შორის დაბეგვრის პრინციპებს.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 225 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში Facebook, LinkedIn, Twitter.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა
თბილისი, 0105 საქართველო

@ 2016 წელს დელოიტი და ტუმში. ყველა უფლება დაცულია.